



# შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით

რექტორი ანზორ შარაშენიძე

**საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,  
განხილვის , დამტკიცების/გაუქმების შესახებ  
წესი**

თბილისი  
2019

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების ან არ დამტკიცების პროცედურები

- 1.1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტში) საგანმანათლებლო პროგრამის (ინიციატივის) წარდგენა, ახალი პროგრამის შემუშავება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, მეცნიერებათა კანდიდატს ან შესაბამისი გამოცდილების მქონე პირს - სპეციალისტს.
- 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/მედგენაში მონაწილე პირი (პირები) ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოქმედი ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით, სასწავლო უნივერსიტეტის დებულებებითა და ნორმატიული აქტებით;
- 1.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან არსებული პროგრამაში ცვლილების/ინიციატორი საინიციატივო ჯგუფი, უმაღლესი განათლების ფაკულტეტს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული სახით აწვდის ინფორმაციას (მოხსენებით ბარათს და საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ. პროგრამის პროექტი შესრულებული უნდა იყოს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.
- 1.4. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიციის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან.
- 1.5. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი პროგრამის პროექტის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
  - ა) შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და სასწავლო უნივერსიტეტში არ ხორციელდება სხვა იდენტური დასახელების მისანიჭებელი კვალიფიკაციის პროგრამა, ან მოქმედი პროგრამა ითხოვს ცვლილებების შეტანას, რასაც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიღებულ მასალებს გადასცემს უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატს განხილვისათვის.
  - ბ) თუ წარმოდგენილი პროგრამა არ შეესაბამება საკანონმდებლო დოკუმენტაციას და სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება სხვა იდენტური დასახელების პროგრამა, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აღნიშნული შესახებ აცნობებს, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატორს /საინიციატივო ჯგუფს. რათა მოხდეს აღნიშნული წარმოდგენილი პროგრამის უპირატესობის დასაბუთება, ან არსებულ პროგრამაში ცვლილებების საკითხის განხილვა ან არსებული პროგრამის გაუქმების საკითხის დასმა.
- 1.6. პროგრამის არ დამტკიცების ან გაუქმების საკითხის დასმის მიზები შეიძლება იყოს, მისი არა აქტუალურობა და შრომითი ბაზრის მოთხოვნასთან შეუსაბამობა, ასევე მისი განხორციელების არარელევანტურობა.

## 2. პროგრამის განხილვა უმაღლესი განათლების ფაკულტეტზე

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატივის მიზანშეწონილობის შეფასებისა და პროგრამის შემუშავების ინიციატორის/საინიციატივო ჯგუფისათვის დახმარების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ფაკულტეტი, ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების ინიციატორის/საინიციატივო /სამიზნე ჯგუფის სამუშაო შეხვედრას შესაბამისი საფეხურის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან (დარგის სპეცილისტებთან და დამსაქმებლებთან).
- 2.2. განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობასა და მიზანშეწონილობას, ასევე, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსის ბაზაზე მისი განხორციელების შესაძლებლობას.
- 2.3. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის საკითხის განხილვისათვის, აუცილებელია სამუშაო შეხვედრას ესწრებოდეს დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.

## 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში

- 3.1 წარმოდგენილი ახალი პროგრამის განხილვის შედეგად მიღებული დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შემუშავების პროცესში, სისტემატიურად უწევს კონსულტაციას პროგრამაზე მომუშავე ინიციატორს/საინიციატივო/ სამიზნე ჯგუფს, პროგრამაში ჩართულ აკადემიური პერსონალს და საჭიროებისას ორგანიზებას უკეთებს მიზნობრივ ჯუფებთან შეხვედრებს.
- 3.2 ინიციატორს/საინიციატივო/ სამიზნე ჯგუფს, სილაბუსის ავტორებს აწვდის პროგრამის/სილაბუსის შემუშავებისათვის საჭირო დოკუმენტაციას.
- 3.3 ინიციატორს/საინიციატივო/სამიზნე ჯგუფს, აწვდის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ფორმებს და მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსებისათვის.
- 3.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახალი პროგრამის განხილვისას ან არსებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში იწვევს შესაბამისი დარგის აკადემიურ პერსონალს და ქმნის დარგობრივ კომისიას, რომელსაც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს რექტორი;
- 3.5 დარგობრივი კომისიის წევრი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, აკადემიური დოქტორის, მეცნიერებათა დოქტორი, დარგის წამყვანი სპეციალისტი. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალთა შორის არ არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს მიმართავს თხოვნით დარგობრივი კომისიის წევრის მონვევის შესახებ.
- 3.6 იმ შემთხვევაში თუ, დარგობრივი კომისიის წევრი/ები არ არის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან/და მონვეული პერსონალი, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე, რექტორი -აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას დარგობრივი კომისიის წევრ/ებთან.

#### 4 უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დარგობრივი კომისია

- 4.1 დარგობრივი კომისია შეისწავლის: საგანმანათლებლო პროგრამის და შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსობრივ მხარეს; წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლების მიზანშეწონილობასა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის მათი სწავლების აუცილებლობას;
- 4.2 დარგობრივი კომისია ვალდებულია შეიმუშავოს შენიშვნებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო რეკომენდაციები.
- 4.3 დარგობრივი კომისია პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს საკუთარ დასკვნას, სადაც აუცილებელი წესით განერილი უნდა იყოს პროგრამის აქტუალობა, პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეები, პრობლემათა გადაჭრის კონკრეტულ გზები და რეკომენდაციები;
- 4.4 პროგრამის ხელმძღვანელი ასწორებს ხარვეზებს და ითვალისწინებს მისთვის მიზანშეწონილად მიჩნეულ რეკომენდაციებს;
- 4.5 დარგობრივი კომისია განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს და ადასტურებს პროგრამაში ხარვეზების აღმოფხვრას;
- 4.6 დარგობრივი კომისია საკუთარ დასკვნას გადასცემს უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატს.
- 4.7 დეკანატი დასკვნის საფუძველზე განიხილავს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხს ან გამოთქვამს მოსაზრებას მისი განხორციელების ან გაუქმების შესახებ

#### 5 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მიმდინარე პროცედურები, პროგრამის განხილვის შეწყვეტის მიზეზები;

- 5.1 პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს დარგობრივ კომისიას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:
  - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კითხვარს;
  - საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსებს;
  - პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართულ პერსონალთა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს: რეზიუმეს (CV); კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, სპეციალური მომზადების დამადასტურებელ დოკუმენტებს; ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალს, რომელიც დამოწმებული (ხელმოწერილი) იქნება უფლებამოსილი პირის მიერ;
  - საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პერსონალთან გაფორმებულ მოქმედ შრომით ხელშეკრულებების ელექტრონულ ვერსიებს;
  - არსებობის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულ მემორანდუმებს.
  - არსებობის შემთხვევაში სასწავლო, სანარმო ან საველე პრაქტიკის განმხორციელებელ ორგანიზაციებთან გასაფორმებელ შრომითი ხელშეკრულებებს;
  - შესაბამის დარგში მოქმედი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების წევრთა/ხელმძღვანელთა წერილებს და გამომხაურებებს, პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობის, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და აქტუალობის შესახებ.
  - წარმოდგენილი პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური სახის მოთხოვნების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის) აღწერა;
- 5.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს წარმოდგენილი პროგრამის მონიტორინგს, ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის შემადგენელი

დოკუმენტების შესაბამისობას სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტაციასთან, აკრედიტაციის სტანდარტებთან დაითვალისწინებს დარგობრივი კომისიის დასკვნას. სამუშაოს დასრულების შემდგომ პროგრამის ხელმძღვანელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწვდის ინფორმაციას ხარვეზების შესახებ და აძლევს საჭირო რეკომენდაციებს ხარვეზების გასასწორებლად.

5.3 პროგრამის ხელმძღვანელი ასწორებს ხარვეზებს, ითვალისწინებს მისთვის მიზანშეწონილად მიჩნეულ რეკომენდაციებს, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით და წარუდგენს ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აღნიშნულის შესახებ;

5.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე, წერს დასკვნას:

- უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, დასკვნაში დეტალურად აღწერს ყველა შენიშვნასა და ხარვეზს, რომელიც არ იქნა გასწორებული პროგრამის შემუშავების პროცესში და რომელთა არსებობა შექმნის საფრთხეს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია/ავტორიზაციის მისაღებად; აღნიშნული შენიშვნებისა და ხარვეზების არ გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეიძლება გახდეს საბაბი პროგრამის განხილვის შეწყვეტისა;
- დადებითი შეფასების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამას აძლევს რეკომენდაციას და ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას და მზადაა აკადემიურ საბჭოზე გასატანად და აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარსადგენად აკრედიტაცია /ავტორიზაციის მისაღებად;

5.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს აკადემიურ საბჭოს ხელმოწერით დადასტურებულ საგანმანათლებლო პროგრამას (ნაბეჭდ ვერსიას) და მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილ ყველა სხვა დოკუმენტაციას (ელექტრონულ ფორმატში) აკადემიურ საბჭოზე განხილვისათვის.

5.6 კომენტარების არსებობისას - პროგრამის შედგენასთან დაკავშირებული პირები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მსჯელობენ დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე და შეაქვთ სათანადო შესწორებები პროგრამაში.

5.7 უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში უზრუნველდება პროგრამის ხელმძღვანელს და აღარ განიხილება, წარმოდგენილი პროგრამა უქმდება;

5.8 დადებითი დასკვნის შემთხვევაში უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანს პროგრამა გააქვს აკადემიურ საბჭოზე განსახილველად. წარმოდგენილი პროგრამის განხილვას უნდა ესწრებოდეს პროგრამის ხელმძღვანელი;

## **6 საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა აკადემიური საბჭოზე: პროგრამაზე გადანწყვეტილების მიღება.**

6.1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაზე დადებითი შეფასების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობით მიმართავს აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და დამტკიცებისათვის.

6.2 საჭიროების შემთხვევაში აკადემიურ საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის განხილვას ესწრება პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი დამსაქმებლებთან ერთად. პროგრამის წარდგენა ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პრეზენტაციის სახით;

6.3 პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- პროგრამის ხელმძღვანელის მოხსენებით ბარათს პროგრამის წარდგენის შესახებ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. (ნაბეჭდი ვერსია, ხელმოწერილი შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ).
  - ფაკულტეტის დეკანის წარდგინებას, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განეული მუშაობის შესახებ. (ნაბეჭდი ვერსია, ხელმოწერილი შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ).
  - შპს თდასუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას. (ნაბეჭდი ვერსია, ხელმოწერილი შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ).
  - 5.1 პუნქტში აღნიშნული ყველა დოკუმენტის CD -ზე განთავსებულ ციფრულ ვერსიას.
- 6.4 აკადემიურ საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის პროცესში, ფაკულტეტის დეკანი აკადემიური საბჭოს წევრებს წარუდგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნას.
- 6.5 აკადემიური საბჭო განიხილავს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამას, თანდართულ მასალებსა და იღებს შესაბამის გადანწყვეტილებას, კერძოდ:
- ა) უარყოფითი გადანწყვეტილების მიღების შემთხვევაში წერილობით ეცნობება პროგრამის ხელმძღვანელს, უარყოფითი გადანწყვეტილების მიღების მიზეზები;
  - ბ) უარყოფითი გადანწყვეტილების შემდეგ პროგრამა უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს წყდება მისი განხილვა და ექვემდებარება გადამუშავებას და დამატებით წარმოდგენას ან გაუქმებას;
  - გ) დადებითი გადანწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენა რექტორის ბრძანება და გამზადდება სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამულ აკრედიტაციაზე წარსადგენად.

## 7 საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება/ გაუქმება:

- 6.1 საგანმანათლებლო პროგრამის და მისი თანმხლები სილაბუსების დამტკიცება ან გაუქმება ხდება სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საბჭოს მუშაობის შესახებ არსებული მოქმედი დებულების შესაბამისად.
- 6.2 აკადემიურ საბჭოზე მიღებული გადანწყვეტილებას ამტკიცებს აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი მის მიერ მოცემული სამართლებრივი აქტით.